

სახაზინო სამსახურის

ი ნ ფ ო რ მ ა ც ი ა

საქართველოს 2015 წლის იანვარ-ივნისის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების, გადასახდელების, ნაშთის ცვლილებისა და მთლიანი სალდოს შესახებ

სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები

საქართველოს 2015 წლის იანვარ-ივნისში სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობებმა შეადგინა სულ 4 794 080.0 ათასი ლარი; მათ შორის: სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები მიღებული იქნა 3 827 372.4 ათასი ლარის მოცულობით, არაფინანსური აქტივების კლებით მიღებულმა შემოსულობებმა შეადგინა 136 573.1 ათასი ლარი, ფინანსური აქტივების კლებით მიღებული იქნა 38 743.4 ათასი ლარი, ხოლო ვალდებულებების ზრდით 791 391.1 ათასი ლარი.

2015 წლის იანვარ-ივნისში მიღებული სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლებმა (3 827 372.4 ათასი ლარი) შეადგინა ექვსი თვის საპროგნოზო მოცულობის (3 691 179.2 ათასი ლარი) 103.7%;

– გადასახადების ექვსი თვის საპროგნოზო მოცულობამ შეადგინა 3 504 100.0 ათასი ლარი, ფაქტიურად მიღებული იქნა 3 581 024.8 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მოცულობის 102.2%;

მათ შორის:

„გადასახადებმა შემოსავალზე, მოგებაზე და კაპიტალის ღირებულების ნაზრდზე“ საპროგნოზო მოცულობამ შეადგინა 1 386 200.0 ათასი ლარი, მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 1 497 075.4 ათასი ლარი, რაც გეგმის 108%-ია; მათ შორის:

„საშემოსავლო გადასახადის“ ექვსი თვის საპროგნოზო მოცულობამ შეადგინა 898 500.0 ათასი ლარი, ფაქტიურად მიღებული იქნა 930 301.3 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მოცულობის 103.5%;

„მოგების გადასახადის“ სახით მიღებული შემოსულობების მოცულობამ (566 773.0 ათასი ლარი) შეადგინა ექვსი თვის საპროგნოზო მოცულობის (487 700.0 ათასი ლარი) 116.2%;

„სხვა გადასახადებმა შემოსავალზე, მოგებაზე და კაპიტალის ღირებულების ნაზრდზე“, რომელთა კლასიფიცირება შეუძლებელია შეადგინა 1.2 ათასი ლარი;

- ექვსი თვის საპროგნოზო მოცულობამ „გადასახადებზე საქონელსა და მომსახურებაზე“ შეადგინა 2 051 400.0 ათასი ლარი, მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 2 037 339.3 ათასი ლარი, რაც გეგმის 99.3%-ია; მათ შორის:
 - „დამატებული ღირებულების გადასახადის“ ექვსი თვის საპროგნოზო მოცულობამ შეადგინა 1 634 000.0 ათასი ლარი, ფაქტიურად მიღებული იქნა 1 663 756.9 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მოცულობის 101.8%;
 - „აქციზის“ სახით მიღებულმა შემოსავლებმა შეადგინა 373 582.4 ათასი ლარი, რაც გეგმის (417 400.0 ათასი ლარი) 89.5%-ია;
- ექვსი თვის საპროგნოზო მოცულობამ „გადასახადებზე საგარეო ვაჭრობასა და საგარეო ეკონომიკურ ოპერაციებზე“ (იმპორტის გადასახადი) შეადგინა 54 100.0 ათასი ლარი, მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 35 846.7 ათასი ლარი, რაც გეგმის 66.3%-ია;
- „სხვა გადასახადების“ ექვსი თვის საპროგნოზო მოცულობამ შეადგინა 12 400.0 ათასი ლარი, ფაქტიურად მიღებული იქნა 10 763.3 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მოცულობის 86.8%.

გრანტების ექვსი თვის საპროგნოზო მოცულობამ შეადგინა 90 484.2 ათასი ლარი, ფაქტიურად მიღებული იქნა 100 370.4 ათასი ლარი (რაც გეგმის 110.9%-ია); მათ შორის:

 - ინვესტიციური კრედიტებისა და გრანტების ფარგლებში ჩარიცხული თანხების შესახებ ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო ვალის და საგარეო დაფინანსების დეპარტამენტის ინფორმაციით, სახაზინო სამსახურის ერთიანი ანგარიშის გაუვლელად მიღებული გრანტები – 38 987.8 ათასი ლარი;
 - სახაზინო სამსახურის მომსახურებაზე მყოფი ინვესტიციური პროექტების გრანტები სულ 7 787.8 ათასი ლარი, რომლის ექვივალენტი უცხოური ვალუტა, ხაზინის სავალუტო ანგარიშზე დონორების მიერ პროექტების დასაფინანსებლად ჩარიცხული თანხიდან, დაკონვერტირდა და ხაზინის ერთიანი ანგარიშის მეშვეობით მიიმართა სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლებში;
 - ბიუჯეტის მხარდამჭერი გრანტი – 29 971.2 ათასი ლარი;
 - სხვა გრანტები – 1 115.0 ათასი ლარი;
 - „სამინისტროების და უწყებების მიერ მიღებული ფულადი გრანტების/მიზნობრივი დაფინანსების აღრიცხვის და ხარჯვის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 30 დეკემბრის №419 ბრძანების თანახმად, ბიუჯეტში ასახული საბიუჯეტო ორგანიზაციებზე დონორების მიერ გამოყოფილი მიზნობრივი დანიშნულების გრანტები 22 508.6 ათასი ლარი.
- „სხვა შემოსავლების“ ექვსი თვის საპროგნოზო მოცულობამ შეადგინა 96 595.0 ათასი ლარი, ფაქტიურად მიღებული იქნა 145 977.2 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მოცულობის 151.1%. მ.შ. საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ მიზნობრივი დაფინანსების სახით მიღებული ნებაყოფლობითი ტრანსფერები, გრანტების

გარდა 8 217.5 ათასი ლარი, რომელიც ბიუჯეტში აისახა ზემოთ მითითებული ბრძანების შესაბამისად.

2015 წლის იანვარ-ივნისში „არაფინანსური აქტივების კლებით“ მიღებული შემოსულობების მოცულობამ (136 573.1 ათასი ლარი) შეადგინა ექვსი თვის საპროგნოზო მოცულობის (26 000.0 ათასი ლარი) 525.3%;

„ფინანსური აქტივების კლებით“ მიღებული შემოსულობების მოცულობამ შეადგინა 38 743.4 ათასი ლარი, რაც ექვსი თვის საპროგნოზო მოცულობის (33 400.0 ათასი ლარი) 116%–ია. მათ შორის:

შემოსულობები სესხებიდან – 38 739.9 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მოცულობის (33 400.0 ათასი ლარი) 116%;

შემოსულობები სხვა დებიტორული დავალიანებებიდან – 3.4 ათასი ლარი.

„ვალდებულებების ზრდით“ მიღებული შემოსულობების მოცულობამ შეადგინა 791 391.1 ათასი ლარი (რაც გეგმის – 784 513.0 ათასი ლარის 100.9%–ია);

მათ შორის:

– საშინაო ვალდებულებების ზრდით (შემოსულობები ფასიანი ქაღალდებიდან, გარდა აქციებისა) ფაქტიურად მიღებული იქნა – 295 092.4 ათასი ლარი, რაც გეგმის (300 000.0 ათასი ლარი) 98.4%–ია;

– საგარეო ვალდებულებების ზრდით მიღებული იქნა – 496 298.7 ათასი ლარი, რაც გეგმის (484 513.0 ათასი ლარი) 102.4%–ია, მათ შორის:

– ბიუჯეტის მხარდამჭერი კრედიტი – 293 822.2 ათასი ლარი;

– ინვესტიციური კრედიტებისა და გრანტების ფარგლებში ჩარიცხული თანხების შესახებ ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო ვალის და საგარეო დაფინანსების დეპარტამენტის ინფორმაციით, სახაზინო სამსახურის ერთიანი ანგარიშის გაუვლელად მიღებული კრედიტები სულ 92 343.1 ათასი ლარი;

– სახაზინო სამსახურის მომსახურებაზე მყოფი ინვესტიციური პროექტების კრედიტები სულ 110 133.4 ათასი ლარი.

ინვესტიციური კრედიტებისა და გრანტების ფარგლებში ჩარიცხული თანხების შესახებ ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო ვალის და საგარეო დაფინანსების დეპარტამენტის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციიდან სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების შესრულების ანგარიშგებაში ასახვისას ამოითიშა კრედიტების და გრანტების თანხები 105 039.3 ათასი ლარის მოცულობით, რომელთა შესაბამისი ექვივალენტები უცხოურ ვალუტაში ჩაირიცხა ხაზინის სავალუტო ანგარიშზე და პროექტის განმახორციელებლების მიერ ხარჯების გაწევის შესაბამისად, განხორციელდა კონვერტირება და ხაზინის ერთიან ანგარიშზე ჩარიცხვის გზით მიიმართა ბიუჯეტის შემოსულობებში.

„საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს სისტემაში შემავალი ბიუჯეტის მხარჯავი ერთეულების მიერ მიღებული საკონსულო მოსაკრებლის,

დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში საკონსულო თანამდებობის პირის მიერ გაწეული მომსახურების საფასურისა და ბიუჯეტის სხვა შემოსულობების აღრიცხვისა და გამოყენების წესის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2010 წლის 15 ოქტომბრის №835 ბრძანებულების შესაბამისად, საკონსულო მოსაკრებლებისა და ბიუჯეტის სხვა შემოსულობების სახით, საგარეო საქმეთა სამინისტროს წერილობითი მომართვების საფუძველზე, 2015 წლის იანვარ-ივნისში სახაზინო სამსახურის მიერ ხაზინის ერთიან ანგარიშზე გატარდა და სახელმწიფო ბიუჯეტის როგორც შემოსულობებში, ასევე გადასახდელებში ასახული იქნა, წარმომადგენლობებისა და საკონსულო დაწესებულებების მიერ მიღებული და ადგილზე გახარჯული თანხები, სულ 2 023.6 ათასი ლარი.

სახელმწიფო ბიუჯეტის ნაშთის ცვლილება

სახელმწიფო ხაზინის ანგარიშებზე 2015 წლის 1 იანვრისთვის რიცხულმა სახელმწიფო ბიუჯეტის დაზუსტებულმა ნაშთმა შეადგინა 434 415.1 ათასი ლარი; აქედან: თავისუფალი ნაშთი – 434 240.1 ათასი ლარი; ფულადი სახსრები საინვესტიციო გრანტებით პროექტების დასაფინანსებლად („დაცული ტერიტორიების განვითარება“) – 175.0 ათასი ლარი.

სახელმწიფო ხაზინის ანგარიშებზე 2015 წლის 1 ივლისისთვის რიცხულმა სახელმწიფო ბიუჯეტის ნაშთმა შეადგინა 823 543.7 ათასი ლარი; აქედან: თავისუფალი ნაშთი – 823 017.4 ათასი ლარი; ფულადი სახსრები საინვესტიციო გრანტებით პროექტების დასაფინანსებლად („დაცული ტერიტორიების განვითარება“) – 526.4 ათასი ლარი.

„საქართველოს 2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-მუხლის, მე-8 პუნქტის და საქართველოს მთავრობის 2014 წლის 7 თებერვლის №176-ე განკარგულების თანახმად – 172 835.1 ათასი ლარი და „საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის 20-მუხლის, მე-7 პუნქტის და საქართველოს მთავრობის 2015 წლის 15 იანვრის №29-ე განკარგულების თანახმად – 99 996.0 ათასი ლარი (სულ 272 831.1 ათასი ლარი), სახაზინო ობლიგაციების გამოშვებით მიღებული სახსრებიდან განთავსებულია კომერციულ ბანკებში ვადიანი დეპოზიტის სახით.

საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო ბიუჯეტის ნაშთის ცვლილებამ (დაგროვება) შეადგინა 389 128.7 ათასი ლარი.

სახელმწიფო ბიუჯეტის მთლიანი სალდო

2015 წლის იანვარ-ივნისში სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები მიღებული იქნა 3 827 372.4 ათასი ლარის მოცულობით (ექვსი თვის გეგმა 3 691 179.2 ათასი ლარი); ხარჯებმა შეადგინა 3 740 580.6 ათასი ლარი (ექვსი თვის გეგმა 3 855 269.3 ათასი ლარი); საოპერაციო სალდომ შეადგინა 86 791.8 ათასი ლარი (ექვსი თვის გეგმა -164 090.1 ათასი ლარი); არაფინანსური აქტივების ცვლილების შესრულებამ შეადგინა 104 211.0 ათასი ლარი; მათ შორის: შესრულებამ არაფინანსური აქტივების კლების მუხლით შეადგინა 136 573.1 ათასი ლარი; არაფინანსური აქტივების ზრდით შესრულებამ 240 784.1 ათასი ლარი.

2015 წლის იანვარ-ივნისში სახელმწიფო ბიუჯეტის მთლიანმა სალდომ შეადგინა -17 419.2 ათასი ლარი (ექვსი თვის გეგმა -411 561.9 ათასი ლარი).

სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები

„საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის და ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლების, არაფინანსური აქტივების კლებისა და ფინანსური აქტივების კლების კვარტალური განწერის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის №430 ბრძანებით დამტკიცებული განწერით, 2015 წლის ექვსი თვის გეგმით გასაწევი სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები განისაზღვრა 4 572 679.8 ათასი ლარით (მათ შორის საბიუჯეტო სახსრები – 4 277 682.6 ათასი ლარი, კრედიტები და გრანტები 294 997.2 ათასი ლარი); საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის №424 ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო ხაზინის მომსახურებაზე მყოფი ორგანიზაციების მიერ გადახდების განხორციელების წესის შესახებ“ ინსტრუქციის შესაბამისად, ვალდებულებები რეგისტრირებული იყო 4 443 858.6 ათას ლარზე, მოთხოვნამ და გადახდამ შეადგინა 4 404 951.3 ათასი ლარი, (მათ შორის საბიუჯეტო სახსრებით გაწეული საკასო ხარჯების მოცულობა 4 118 994.6 ათასი ლარი, ხოლო კრედიტებიდან და გრანტებიდან გაწეული საკასო ხარჯების მოცულობა – 285 956.7 ათასი ლარი), რაც ვალდებულების 99.1%, ხოლო გეგმის 96.3%-ს შეადგენს. საბიუჯეტო სახსრებით გაწეული საკასო ხარჯების მოცულობამ 2015 წლის იანვარ-ივნისის მთლიან ხარჯებში შეადგინა 93.5%, ხოლო კრედიტებიდან და გრანტებიდან გაწეული ხარჯების მოცულობამ კი მთლიანი ხარჯების 6.5%.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2010 წლის 20 სექტემბრის №738 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციებისათვის ფულის გაცემის ყოველთვიური ოპერატიული ფინანსური გეგმის შედგენის, დამტკიცებისა და ფულის გაცემის წესის დამტკიცების თაობაზე“ ინსტრუქციის საფუძველზე, ხაზინის მომსახურებაზე მყოფი ორგანიზაციების მიერ, ბიუჯეტით განსაზღვრული ასიგნებების ფარგლებში, თანხების ხარჯვა იანვარ-ივნისში

ხორციელდებოდა საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დამტკიცებული ფულის გაცემის ოპერატიული ფინანსური გეგმის მიხედვით.

„საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, იანვარ-ივნისში სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელებზე ინფორმაცია ორგანიზაციულ ჭრილში დანართის სახით თან ერთვის, ხოლო გაწეული საკასო ხარჯების სტრუქტურა საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით შემდეგია:

ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით: „შრომის ანაზღაურების“ მუხლით ხარჯების დასაფინანსებლად 2015 წლის ექვსი თვის გეგმით გათვალისწინებული იყო 687 324.4 ათასი ლარი. ამ მიზნით რეგისტრირებული იქნა ვალდებულებები (წარმოდგენილია განაცხადი) 677 653.6 ათას ლარზე, მოთხოვნამ და გადახდამ შეადგინა 669 811.9 ათასი ლარი, რაც ვალდებულების 98.8%-ს და საგეგმო მაჩვენებლის 97.5%-ს შეადგენს.

„საქონელი და მომსახურების“ მუხლით 2015 წლის ექვსი თვის გეგმით განსაზღვრული იყო 441 453.3 ათასი ლარის გამოყოფა. აღნიშნული მუხლიდან აღებულმა ვალდებულებებმა შეადგინა 427 242.1 ათასი ლარი, მოთხოვნამ და გადახდამ შეადგინა 413 189.1 ათასი ლარი, რაც ვალდებულების 96.7%-ს და საგეგმო მაჩვენებლის 93.6%-ს შეადგენს.

„პროცენტის“ დაფარვის მუხლით 2015 წლის ექვსი თვის გეგმით გათვალისწინებული იყო 162 473.8 ათასი ლარის გამოყოფა. აღნიშნული მუხლიდან აღებულმა ვალდებულებებმა შეადგინა 156 298.6 ათასი ლარი, მოთხოვნამ და გადახდამ შეადგინა 156 298.6 ათასი ლარი, რაც ვალდებულების 100%-ს და საგეგმო მაჩვენებლის 96.2%-ს შეადგენს. მათ შორის:

– საშინაო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურებისათვის საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 75 277.0 ათასი ლარი, რაც ვალდებულების (75 277.0 ათასი ლარი) 100%-ს შეადგენს;

– საგარეო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურებისათვის საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 81 021.6 ათასი ლარი, რაც ვალდებულების (81 021.6 ათასი ლარი) 100%-ია.

„სუბსიდიების“ მუხლით გასაწევი ხარჯების 2015 წლის ექვსი თვის გეგმამ შეადგინა 113 455.1 ათასი ლარი, აღებული ვალდებულებების ოდენობამ შეადგინა 111 790.0 ათასი ლარი, მოთხოვნამ და გადახდამ – 110 274.2 ათასი ლარი, რაც ვალდებულების 98.6%-ს და გეგმის 97.2%-ს შეადგენს.

„გრანტების“ მუხლით გასაწევი ხარჯების 2015 წლის ექვსი თვის გეგმამ შეადგინა 572 990.5 ათასი ლარი, მოთხოვნამ და გადახდამ შეადგინა 547 634.7 ათასი ლარი, რაც ვალდებულების (549 371.1 ათასი ლარი) 99.7% და საგეგმო მაჩვენებლის 95.6%-ია.

ხარჯების აღნიშნული კატეგორიიდან 2015 წლის იანვარ-ივნისში ავტონომიური და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტებს ფინანსური დახმარების სახით გადაერიცხათ 531 871.1 ათასი ლარი, ანუ ვალდებულების (533 088.5 ათასი ლარი) 99.8%.

„სოციალური უზრუნველყოფის“ მუხლით 2015 წლის იანვარ-ივნისში მოთხოვნამ და გადახდამ შეადგინა 1 342 613.2 ათასი ლარი, რაც ვალდებულების (1 343 070.0 ათასი ლარი) 100% და საგეგმო პარამეტრის (1 343 215.2 ათასი ლარი) 100%-ია.

აღნიშნული მუხლიდან სოციალური დაცვისა და საპენსიო უზრუნველყოფის ხარჯების დასაფინანსებლად 2015 წლის ექვსი თვის გეგმით განისაზღვრა 982 442.4 ათასი ლარი, გადახდამ შეადგინა 982 414.2 ათასი ლარი, რაც გეგმის 100%-ია. მათ შორის: საპენსიო უზრუნველყოფის დაფინანსების ხარჯებმა შეადგინა 681 339.8 ათასი ლარი, რაც ვალდებულების (681 339.8 ათასი ლარი) და გეგმის (681 340.7 ათასი ლარი) 100%-ია; სოციალური დახმარებების ხარჯების დასაფინანსებლად ექვსი თვის გეგმით განისაზღვრა 292 565.8 ათასი ლარი, მოთხოვნამ და საკასო ხარჯმა შეადგინა 292 565.8 ათასი ლარი, რაც გეგმის და ვალდებულების (292 565.8 ათასი ლარი) 100%-ია; ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების ხარჯების დასაფინანსებლად ექვსი თვის გეგმით განისაზღვრა 339 873.5 ათასი ლარი, მოთხოვნამ და საკასო ხარჯმა შეადგინა 340 114.0 ათასი ლარი, რაც გეგმის 100.1% და ვალდებულების (340 132.6 ათასი ლარი) 100.0%-ია.

„სხვა ხარჯების“ მუხლით 2015 წლის ექვსი თვის გეგმა განისაზღვრა 534 357.0 ათასი ლარით, აღებული ვალდებულებების ოდენობამ შეადგინა 510 499.2 ათასი ლარი, მოთხოვნამ და გადახდამ შეადგინა 500 758.9 ათასი ლარი, რაც ვალდებულების 98.1%-ს და გეგმის 93.7%-ს შეადგენს.

აღნიშნული მუხლიდან ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების დასაფინანსებლად ექვსი თვის გეგმით განისაზღვრა 204 664.0 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 203 528.2 ათასი ლარი, რაც გეგმის 99.4% და ვალდებულების (204 525.0 ათასი ლარი) 99.5%-ია; მცირემიწიან ფერმერთა საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის ღონისძიებების დასაფინანსებლად განისაზღვრა 41 790.0 ათასი ლარი. საანგარიშო პერიოდში რეგისტრირებული იქნა 41 790.0 ათასი ლარის ვალდებულებები, გადახდამ (41 790.0 ათასი ლარი) შეადგინა ვალდებულების და საგეგმო მაჩვენებლის 100%.

„არაფინანსური აქტივებისა და მათზე ოპერაციების კლასიფიკაციით“ 2015 წლის ექვსი თვის გეგმით განისაზღვრა 273 471.8 ათასი ლარის ასიგნებები; საანგარიშო პერიოდში აღებული ვალდებულებების ოდენობამ შეადგინა 244 225.7 ათასი ლარი, მოთხოვნამ და გადახდამ – 240 784.1 ათასი ლარი, რაც ვალდებულების 98.6%-ს და გეგმის 88%-ს შეადგენს.

საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების ღონისძიებების დასაფინანსებლად განისაზღვრა 153 069.5 ათასი ლარი. საანგარიშო პერიოდში რეგისტრირებული იქნა 140 333.8 ათასი ლარის ვალდებულებები, გადახდამ (139 429.0 ათასი ლარი) შეადგინა ვალდებულების 99.4% და საგეგმო მაჩვენებლის – 91.1%.

„ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების და მათზე ოპერაციების კლასიფიკაციით“ 2015 წლის ექვსი თვის გეგმით ფინანსური აქტივებით ოპერაციების დასაფინანსებლად განსაზღვრული იყო 205 895.7 ათასი ლარის გამოყოფა. აღნიშნული მუხლიდან აღებულმა ვალდებულებებმა შეადგინა 187 442.5 ათასი ლარი, მოთხოვნამ და გადახდამ შეადგინა 187 373.3 ათასი ლარი, რაც ვალდებულების 100%-ს და გეგმის 91%-ს შეადგენს.

აღნიშნული მუხლიდან სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის სესხისა და ლიზინგის ვალდებულებების დასაფინანსებლად განისაზღვრა 21 000.0 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 21 000.0 ათასი ლარი, რაც ვალდებულების და გეგმის 100%-ს შეადგენს; სამელიორაციო სისტემების მოდერნიზაციისთვის გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 17 000.0 ათასი ლარი, რაც გეგმის 70.8% და ვალდებულების 100%-ია.

„ვალდებულებების კლების“ მუხლით 2015 წლის ექვსი თვის გეგმით განსაზღვრული იყო 238 043.0 ათასი ლარის გამოყოფა. აღნიშნული მუხლიდან აღებულმა ვალდებულებებმა შეადგინა 236 265.9 ათასი ლარი, მოთხოვნამ და გადახდამ შეადგინა 236 213.2 ათასი ლარი, რაც ვალდებულების 100% და გეგმის 99.2%-ია. მათ შორის:

– საგარეო სახელმწიფო ვალდებულებების დაფარვისათვის გაწეულმა საკასო ხარჯებმა შეადგინა 211 689.7 ათასი ლარი, რაც ვალდებულების (211 689.7 ათასი ლარი) 100%-ია;

– საშინაო სახელმწიფო ვალდებულებების დაფარვისათვის გაწეულმა საკასო ხარჯებმა შეადგინა 24 523.5 ათასი ლარი, რაც ვალდებულების (24 576.1 ათასი ლარი) 99.8%-ია.

ორგანიზაციული კოდების მიხედვით დანართის სახით თანდართულია ასევე ინფორმაცია კრედიტებიდან და გრანტებიდან გაწეული ხარჯების შესახებ, რომელთა ანგარიშგებაში ასახვის საფუძველს წარმოადგენს ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო ვალის და საგარეო დაფინანსების დეპარტამენტის ინფორმაცია გრანტებისა და საერთაშორისო საინვესტიციო კრედიტების ფარგლებში ჩამორიცხული თანხების შესახებ, მ.შ. ინფორმაცია თანხების შესახებ, რომელთა ათვისება პროექტის განმახორციელებლების მიერ ხდება სახაზინო ანგარიშების გაუვლელად.

სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებების ფარგლებში გაწეულმა ხარჯმა, მომავალში მისაღები (ოვერდრაფტის) გრანტებისა და კრედიტების ანგარიშზე შეადგინა 6 626.4 ათასი ლარი. მათ შორის:

- „აღმოსავლეთ–დასავლეთის ჩქაროსნული ავტომაგისტრალის ზესტაფონი–ქუთაისი–სამტრედიის მონაკვეთის მშენებლობა–რეკონსტრუქციის პროექტი (JICA)“ – 4 939.5 ათასი ლარი;
- „მდგრადი ურბანული ტრანსპორტის განვითარების საინვესტიციო პროგრამა“ – 508.7 ათასი ლარი;
- „იძულებით გადაადგილებულ პირთა საცხოვრებელი სახლების გადაუდებელი რეაბილიტაცია დასავლეთ საქართველოში“ – 1 178.2 ათასი ლარი.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2010 წლის 15 თებერვლის #92 ბრძანების თანახმად, საქართველოს ბანკში გახსნილ სახაზინო სამსახურის კორპორაციულ საბარათე ანგარიშზე რიცხულმა ნაშთმა 2015 წლის პირველი ივლისისთვის შეადგინა 107.3 ათასი ლარი. აღნიშნული თანხა ასახულია შესაბამისი უწყებების საკასო ხარჯებში.

სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები ფუნქციონალურ ჭრილში

2015 წლის იანვარ-ივნისში სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯებმა ფუნქციონალურ ჭრილში შეადგინა 3 981 364.8 ათასი ლარი და ძირითადი ფუნქციონალური კატეგორიების მიხედვით, შემდეგი სტრუქტურით ხასიათდება:

საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების ხაზით გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 913 793.4 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის (966 881.5 ათასი ლარი) 94.5%-ია. აღნიშნულ ხარჯებში აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის ხარჯების დაფინანსებამ შეადგინა 176 511.5 ათასი ლარი, რაც გეგმის (197 282.2 ათასი ლარი) 89.5% და საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების ხარჯების 19.3%-ია; სახელმწიფო ვალებთან დაკავშირებული ოპერაციების ხარჯების დაფინანსებამ შეადგინა – 156 224.8 ათასი ლარი, ანუ გეგმის (162 400.0 ათასი ლარი) 96.2% და საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების ხარჯების 17.1%.

თავდაცვის ღონისძიებების ხარჯების დასაფინანსებლად 2015 წლის ექვსი თვის გეგმით გათვალისწინებული იყო 298 484.8 ათასი ლარის გამოყოფა; გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 296 657.0 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 99.4%, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების მთლიანი მოცულობის (3 981 364.8 ათასი ლარი) 7.5%.

საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების ხაზით 2015 წლის ექვსი თვის გეგმით განსაზღვრული იყო 462 316.9 ათასი ლარის გამოყოფა, გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 443 976.2 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 96%, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების მთლიანი მოცულობის 11.1%; პოლიციის

სამსახურის და სახელმწიფო დაცვის ხარჯების დაფინანსებამ შეადგინა 307 042.7 ათასი ლარი, ანუ გეგმის (312 949.7 ათასი ლარი) 98.1%; სასამართლოებისა და პროკურატურის დაფინანსების ხარჯებმა (49 266.9 ათასი ლარი) შეადგინა გეგმის (53 502.2 ათასი ლარი) 92.1%; სასჯელაღსრულების დაწესებულებების დაფინანსების ხარჯებმა შეადგინა 54 289.4 ათასი ლარი, რაც გეგმის (54 958 ათასი ლარი) 98.8%-ია.

ეკონომიკური საქმიანობის ხაზით 2015 წლის ექვსი თვის გეგმით გათვალისწინებული იყო 417 935.8 ათასი ლარის გამოყოფა, ხოლო გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 389 291.5 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებელის 93.1%. აღნიშნულ ხარჯებში საერთო ეკონომიკური, კომერციული და შრომით რესურსებთან დაკავშირებული საქმიანობის დაფინანსების ხარჯებმა (12 979.6 ათასი ლარი) შეადგინა გეგმის (15 097.7 ათასი ლარი) 86%; სოფლის მეურნეობის, სატყეო მეურნეობის, მეთევზეობისა და მონადირეობის დაფინანსების ხარჯებმა (92 874.1 ათასი ლარი), გეგმის (93 667.4 ათასი ლარი) 99.1% შეადგინა; ტრანსპორტის ხარჯების დასაფინანსებლად გათვალისწინებული იყო 245 104.6 ათასი ლარის გამოყოფა, გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 231 761.5 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებელის 94.6%.

გარემოს დაცვის ხაზით 2015 წლის ექვსი თვის გეგმით გათვალისწინებული იყო 19 886.9 ათასი ლარის გამოყოფა, ხოლო გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 16 662.8 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებელის 83.8%.

საბინაო-კომუნალური მეურნეობის ხაზით 2015 წლის ექვსი თვის გეგმით გათვალისწინებული იყო 28 524.0 ათასი ლარის გამოყოფა, ხოლო გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 13 680.3 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებელის 48%. მათ შორის, წყალმომარაგების ხარჯების დასაფინანსებლად გათვალისწინებული იყო 17 985.0 ათასი ლარის გამოყოფა, გაწეულმა საკასო ხარჯმა კი შეადგინა 8 862.9 ათასი ლარი, რაც გეგმის 49.3%-ია.

ჯანმრთელობის დაცვის ხაზით 2015 წლის ექვსი თვის გეგმით განსაზღვრული იყო 384 147.5 ათასი ლარის გამოყოფა, ხოლო გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 389 606.2 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებელის 101.4%, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების მთლიანი მოცულობის 9.8%; ამბულატორიული მომსახურების ხარჯების დასაფინანსებლად გათვალისწინებული იყო 286 877.6 ათასი ლარის გამოყოფა, საკასო ხარჯმა (286 752.7 ათასი ლარი) შეადგინა გეგმიური მაჩვენებლის 100%; საავადმყოფოების მომსახურებისათვის გაწეულმა ხარჯებმა (64 737.9 ათასი ლარი) შეადგინა გეგმის (59 285.6 ათასი ლარი) 109.2%; საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურების ხარჯები დაფინანსდა – 7 140.9 ათასი ლარით, რაც გეგმის (7 214.4 ათასი ლარი) 99%-ია.

საქმიანობა კულტურის, დასვენებისა და რელიგიის სფეროში დაფინანსდა 106 141.8 ათასი ლარით, რაც 2015 წლის ექვსი თვის გეგმიური მაჩვენებლის (114

423.1 ათასი ლარი) 92.8%-ს შეადგენს. ტელე-რადიო მაუწყებლობის და საგამომცემლო საქმიანობის დასაფინანსებლად განსაზღვრული იყო 24 742.6 ათასი ლარის გამოყოფა, საკასო ხარჯმა (22 188.4 ათასი ლარი) შეადგინა გეგმის 89.7%.

განათლების სფეროს დასაფინანსებლად ექვსი თვის გეგმით განსაზღვრული იყო 386 338.6 ათასი ლარის გამოყოფა; გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 360 872.8 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 93.4% და სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების მთლიანი მოცულობის 9.1%; აღნიშნულ ხარჯებში ზოგადი განათლების დაფინანსებამ შეადგინა – 219 540.7 ათასი ლარი, რომელიც გეგმის (229 072.9 ათასი ლარი) 95.8%-ია; უმაღლესი განათლების დაფინანსებამ შეადგინა – 62 208.6 ათასი ლარი, რაც გეგმის (65 352.5 ათასი ლარი) 95.2%-ია.

სოციალური დაცვის ხაზით ექვსი თვის გეგმით განსაზღვრული იყო 1 049 801.9 ათასი ლარის გამოყოფა; გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 1 050 682.8 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 100.1%, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების მთლიანი მოცულობის 26.4 %. ხანდაზმულთა სოციალური დაცვის ხარჯების დასაფინანსებლად განსაზღვრული იყო 681 483.3 ათასი ლარის გამოყოფა, საკასო ხარჯმა შეადგინა 681 474.9 ათასი ლარი, ანუ გეგმის 100%; ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვისთვის გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 298 714.2 ათასი ლარი, რაც გეგმის (299 192.4 ათასი ლარი) 99.8%-ია.

საქართველოს პრეზიდენტის და საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდები

საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან საანგარიშო პერიოდში გამოყოფილი ასიგნებების მოცულობამ ოცდაათობმეტ შემთხვევაში შეადგინა სულ 1 542.9 ათასი ლარი.

გამოყოფილი ასიგნებებიდან საანგარიშო პერიოდის განმავლობაში გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა სულ 941.0 ათასი ლარი.

საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში აუთვისებელი თანხების მოცულობამ 2015 წლის 1 ივლისის მდგომარეობით შეადგინა 601.9 ათასი ლარი.

საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან საანგარიშო პერიოდში გამოყოფილი ასიგნებების მოცულობამ ორმოცდაათ შემთხვევაში შეადგინა სულ 45 217.0 ათასი ლარი.

გამოყოფილი ასიგნებებიდან საანგარიშო პერიოდის განმავლობაში გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა სულ 41 897.7 ათასი ლარი.

საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში 2015 წლის 1 ივლისისთვის აუთვისებელი თანხების მოცულობამ შეადგინა სულ 3 319.3 ათასი ლარი.

ორგანიზაციულ ჭრილში თანხების ხარჯვის შესახებ ინფორმაცია თან ერთვის.

რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი

რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან საანგარიშო პერიოდში გამოყოფილი ასიგნებების მოცულობამ ოცდაექვს შემთხვევაში შეადგინა სულ 107 393.0 ათასი ლარი.

გამოყოფილი ასიგნებებიდან საანგარიშო პერიოდის განმავლობაში გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა სულ 103 952.9 ათასი ლარი.

რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში 2015 წლის 1 ივლისისთვის აუთვისებელი თანხების მოცულობამ შეადგინა სულ 3 440.1 ათასი ლარი.

წინა პერიოდში წარმოქმნილი სხვა კრედიტორული დავალიანებების დაფარვა

„საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, საანგარიშო პერიოდში წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დასაფარად „ვალდებულებების კლების“ მუხლით გამოყოფილი იქნა 9 150.7 ათასი ლარი, საკასო ხარჯმა შეადგინა 9 230.8 ათასი ლარი. აქედან: ცალკეული ღონისძიებების სახით წინა პერიოდში წარმოქმნილი ვალდებულებების დასაფარად განისაზღვრა 6 218.4 ათასი ლარის ასიგნება, საკასო ხარჯმა შეადგინა 6 049.7 ათასი ლარი. მათ შორის: საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ, წინა წლებში შესრულებული საგზაო სამუშაოების აუნაზღაურებელი ნაწილის გადასახდელად მიიმართა 5 150.3 ათასი ლარი (გეგმა – 5 300.0 ათასი ლარი); სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ საგარეო-სხვა კრედიტორული დავალიანების დაფარვის გეგმამ შეადგინა 918.4 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა – 899.4 ათასი ლარი.

„საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანების დაფარვის და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდის დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 14 000.0 ათასი ლარი, სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებისათვის გაწეულმა ხარჯმა შეადგინა 1 530.7 ათასი ლარი; აქედან: საქართველოს იუსტიციის სამინისტროს წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანების დასაფარად გამოყო

174.7 ათასი ლარი (საკასო ხარჯი – 174.7 ათასი ლარი), ხოლო სხვა ხარჯების მუხლით გამოეყო 11 883.2 ათასი ლარი (საკასო ხარჯი – 11 883.2 ათასი ლარი).

„საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ცალკეული ღონისძიებებისათვის და წინა პერიოდში წარმოქმნილი დავალიანების დაფარვის ფონდიდან გამოყოფილი ასიგნებების გარდა, გაწეული ხარჯი (გეგმა – 815.5 ათასი ლარი, საკასო ხარჯი – 1 475.6 ათასი ლარი) ითვლება საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ საბიუჯეტო ასიგნებებში წარმოქმნილი ეკონომიის ხარჯზე წინა პერიოდის დავალიანების დაფარვად.

ამასთან, ბიუჯეტის შესახებ კანონით განსაზღვრული ღონისძიებებისა და გამოყოფილი ასიგნებების მიხედვით საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ საანგარიშო პერიოდში, წინა წლების დავალიანებების დასაფარავად გაწეულ ხარჯებზე ინფორმაცია ორგანიზაციულ ჭრილში ერთვის დანართის სახით.

„წინა წლებში წარმოქმნილი ვალდებულებების დაფარვისა და სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდის“ ფარგლებში, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ, შესაბამისი სააღსრულებლო ბიუროების საინკასო დავალებებით სახაზინო სამსახურის ანგარიშებიდან წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდიდან, დაკისრებული თანხების სახით ავტომატურ რეჟიმში იძულების წესით ჩამოჭრილი იქნა – 1 530.7 ათასი ლარი, რაც გატარდა საერთო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელების ორგანიზაციულ კოდზე.

2015 წლის იანვარ-ივნისის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების, გადასახდელების, ნაშთის ცვლილებისა და მთლიანი სალდოს შესახებ წარმოდგენილი ანგარიში შედგენილია სახაზინო სამსახურში არსებული ოპერატიული მონაცემების საფუძველზე.